# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 147 კვირა, 5 ივლისი 1909 წ. № 147

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9-საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —

— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 9 დღის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

## ვლადიმერ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი წირვის შემდეგ $1\frac{1}{2}$ საათზე. (რ. 2—2)

---

ს. ტინისხიდში მცხოვრებნი თავადნი კონსტანტინე ასლანის ძე, გრიგოლ, სიმონ, ალექსანდრე და დავით დიმიტრის ძენი წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძმის, ხოლო დანარჩენნი—მშობელ მამის პოლკოვნიკ

## თავ. დიმიტრი ასლანის ძის წერეთლისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, ხუთ მკათათვეს, ს. ტინისხიდში, საიდანაც მიცვალებული გამოსვენებული იქნება ქ. გორის ოქონის ეკკლესიაში, ხოლო იქიდან ქრისტიანულის წესის აგების შემდეგ დაკრძალული იქნება გორის სამების ეკკლესიის გალავანში. პანაშვიდები ყოველ საღამოთი შვიდ საათზე. (2—2)

---

დეკანოზი ნიკოლოზ და დარია ნათიძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას საყვარელ შვილის, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ილიასას.

დაკრძალვა სოფელ მელაანში, დღეს 5 ივლისს. (1—სვ.—1)

---

თავადი ნოდარ მიხეილის ძე, მარიამ ალექსანდრეს ასული და ელენე ნოდარის ძე ჯორჯაძენი და ქნეინა ბარბარე მიხეილის ასული ვახვახიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 ივლისს გარდაიცვალა დედა, დედამთილი და ბებია მათი

## კნეინა ელენე იასეს ასული ჯორჯაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 25. გასვენება კუკიის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დილის 9 საათზე ორშაბათს, 6 ივლისს. 1—327—1)

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაჰაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თოროზოვისა (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—2)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—186)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჟანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლო.) (24—310—5)

**ექიმი** ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—3)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—9)

---

◀ გაფრთხილება სავაჭრო სახლის ▶

## „ნ. ი. ბოზარჯიანც შვილებითურთ-"საგან

ვინმე ვ. ი. ვაგანოვი თავის თავს სავაჭრო სახლის „ნ. ი. ბოზარჯიანც შვ.-თ"-ის წარმომადგენლად აცხადებს, დადის ქალაქებში, კისრულობს თამბაქოს ნაწარმოების მიწოდებას და ხშირად ბედ ფულსაც იღებს. ამ დღეებში განჯიდან ბ-ნ ალა ახუნდოვისაგან ცნობა მოგვივიდა, საიდანაცა სჩანს, რომ ახუნდოვს ბედ 25 მანეთი მიუცია და ამ რიგად თავის გულ-უბრყვილობის წყალობით უზარალნია. ვაგანოვს სადარბაზო ბარათიცა ჰქონია ასეთის წარწერით: „ს. ს. ნ. ი. ბოზარჯიანცის ფაბრიკის წარმომადგენელი".

საჭიროდ ვცნობთ ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას ეს გარემოება და გავაფრთხილოთ, არ დაუჯერონ სავ. სახლის მატყუარა წარმომადგენელთ, რომელთა მოქმედებისთვის ფირმა პასუხს ვერ აგებს. ფირმა პასუხს აგებს მხოლოდ იმ პირთათვის, რომელნიც წარადგენენ ნამდვილ რწმუნების ქაღალდებს.

(2—1004—1) სავაჭრო სახლი „ნ. ი. ბოზარჯიანც შვ.—რთ".

---

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—101)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბებუთის ქუჩა, N 11. (75—118)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ხ. 104)

**ექიმი** ქ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში [illegible] რიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—3)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1\frac{1}{2}$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—59)

---

დილის წარმოდგენა

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 5 ივლისს ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა ტრ. რამიშვილისა

„შ ე შ ლ ი ლ ნ ი"

პიესა 2 მოქ.

II

„არც აქეთ, არც იქით"

ვოდ.—ხუმრობა 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ (ალფავიტით): ქ-ნნი ანკარა, კავთელი; ბ-ნნი ანაშვილი, ბადრიძე, ბერიშვილი, გელა, დადვაძე, ევდოშვილი, იმედაშვილი—ხაშმელი, მელიქიშვილი, მანჯავიძე, მეტრეველი, რომანიშვილი, პეპანოვი, ჯანკვეტაძე, ხანდოველი და სხ.

ადგილების ფასი—20 კ.—1 მან. ბილეთები იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

დასაწყისი დილის $11\frac{1}{2}$ საათზე.

რეჟისორი ტრ. რამიშვილი.

ადმინისტრატორი ა. გარელი. (2—2)


## ტფილისი, 5 ივლისი

ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ შეამჩნიოს ის ღრმა ცვლილება, რომელიც შეიტანა უკანასკნელ წლების ქარ-ტეხილმა ჩვენის ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში. საუკუნის დამლევის ისტორიკოსი, აღჭურვილი მრავალ ფაქტით, სავსე პერსპექტივით, ამცნევს მომავალ თაობას იმას, თუ რა უცნაური ღრმა ცვლილება მოჰყვა ჩვენს ცხოვრებაში იმ ხანას, რომელიც აწ რუსეთის რევოლიუციადაა მონათლული.

ერთი ნაყოფი ამ მოვლენისა, პროვინციის ქალაქებისა და დაბების გამოღვიძებაა. ყოველ დღე გაზეთი გვამცნევს, რომ ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ დაბაში გაიხსნა თუ სახალხო უნივერსიტეტი, თუ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, თუ დრამატიული საზოგადოება. მართალია, ჯერ ეს კულტურული დაწესებულებანი, ვითა ახლად დაბადებული ბავშვი, სიცოცხლის პირველ ნიმუშს (ძლევიან მხოლოდ, მაგრამ სულ-წასულობა ამგვარ საქმეში ვერაფერი იარაღია. და ისე, წინდაწინვე შეიძლება კაცმა სთქვას, რომ მათი ზრდა და წარმატება აუცილებელია და შესაძლებელიც. საჭიროა მხოლოდ ამ ახლად დაბადებულ ჩჩვილს კარგი გამზრდელი ჰყავდეს. და მის გაზრდასა და გაფურჩქვნას წინ ვერა დაუდგება რა.

ხელმძღვანელი როლი კი ამ საქმეში უნდა [illegible] ჩვენმა პროგრესიულმა ინტელიგენციამ, განურჩევლად პარტიისა, თუ, რასაკვირველია, ამ ინტელიგენციის წევრები ანტი-საზოგადოებრივ ელემენტებს არ ეკუთვნიან. ანტი-საზოგადოებრივ ელემენტად კი დღევანდელ პირობებში, პოლიტიკურის ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ, მიგვაჩნია, ყველა, ვინც ხელს უწყობს 17 ოქტომბრის მანიფესტის გადაფურჩქვნასა და გაცამტვერებას, ვისაც ეს მანიფესტი პირზედ აკერია და საქმით კი ემსახურება ისეთ რამეს, რაც ამ მანიფესტამდის არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილების ხელის შემწყობია.

პროგრესიულმა ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა თავს იდვას ამ საქმეების წინ გაძღოლა და ეს მოვალეობა მარტო ადგილობრივ ინტელიგენციას არ უნდა დაედოს,—უნდა დაეკისროს ცენტრში თავმოყრილ ქართველ ინტელიგენციასაც. ცენტრიდან უნდა მიდიოდეს დირექტივები, რომლის განხორციელებასაც ადგილობრივი ინტელიგენცია ეცდება დროისა და გარემოების მიხედვით. ცენტრის, ე. ი. ჩვენის დედა-ქალაქის ტფილისის პროგრესიულმა ინტელიგენციამ უნდა შეიმუშაოს პროგრამმა ადგილობრივ დაწესებულებათათვის. ამ პროგრამმას უსათუოდ საფუძვლად უნდა დაედოს საერო აზრი. ჩვენმა პროგრესიულმა ინტელიგენციამ უნდა გაითვალისწინოს დღევანდელი მდგომარეობა ქართველ ერისა და ამის მიხედვით იმუშაოს თვის[illegible] და მისცეს ტონი პროვინციის ინტელიგენციის შრომასა და მეცადინეობასაც. სახალხო უნივერსიტეტები უნდა სცდილობდნენ ქართველ ხალხს შეასწავლონ ქართული ანბანი და ამით გაუწიონ დაუძინებელი ბრძოლა გადაგვარების პოლიტიკას. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორები უნდა სცდილობდნენ გააგებინონ და გადაუშალონ თვალ წინ ქართველ მშრომელ ხალხს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი ბედ-იღბალი, ჩვენი წარსული ცხოვრება და ლიტერატურა, გააგებინონ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, დაანახვონ წარსულისა და აწმყოს შესწავლისაგან ნაკარნახევი მომავალი. რა თქმა უნდა, ამ დაწესებულებებმა სხვა ცოდნაც უნდა მიაწოდონ ხალხს, გაუნათლონ გონება, ხოლო თუ ამაზე ნაკლებ ვლაპარაკობთ, მარტო იმიტომ, რომ ეს თავის თავად იგულისხმება. ერთის სიტყვით, ქართული პროგრესიული ინტელიგენცია უნდა ეცადოს მთელი არსენალი კულტურულ დაწესებულებისა გამოიყენოს თავის კულტურისა და ცხოვრების არსებობის თავ-დასაცავ იარაღად. ამისთვის კი აუცილებელია ყოველივე ჩვენი საზოგადო საქმე ერთს გეგმაზე იყოს ჩამოყალიბებული, ერთის ვარსკვლავის შემყურე იყოს; ამისთვის აუცილებელია ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებში,—თვითმმართველობა იქნება იგი, თუ სხვა კულტურული დაწესებულება,—იყოს განუწყვეტელი კავშირი; ამისთვის აუცილებელია ამ დაწესებულებათა სათავეში ჩადგნენ ჩვენი პროგრესიულ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი.

ჩვენს მდგომარეობაში სავაჭრო დაწესებულებანიც-კი უნდა ემსახურებოდნენ საერო საზოგადოებრივ აზრს, რის მაგალითი კიდევაცა ვაქვს. აიღეთ ჩვენი ქართლისა და იმერეთის თავ.-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკები. ეს კომმერციული დაწესებულებები ერთად-ერთია მთელ იმპერიაში და იქნებ მთელს ქვეყანაზედაც, რომლის წმინდა მოგება საზოგადო საქმეს ხმარდება. ამგვარადვე უნდა დავაყენოთ საქმე ადგილობრივ ბანკებში, სავაჭრო დაწესებულებებში, რომელთაც კოოპერატიული ხასიათი აქვთ. ეს მეტად დიდი და სერიოზული საქმეა, რომელსაც ეხლავე ფიქრი უნდა, თორემ ულმობელი მომავალი სამარცხვინო ბოძზედ გააკრავს მომავალ თაობის წინაშე დღევანდელს განათლებულს ნაწილს საზოგადოებისას.


**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—15)

---

**ტ**ფილისის ქართველ თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება **პირველ განყოფილებაში, მეოთხე და მეხუთე კლასში**.

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში. თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქმნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისათანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასების 40 მანეთი.

რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო ჰსთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათამდე. (3—6—1)


## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ასტარა. რევოლიუციონერებმა აიღეს თეირანი.**

### დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: 2 ივლისს, დილის 10 საათზე, შაჰმა რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი. რუსეთისა და ინგლისის საელჩოების დეპუტაცია თეირანში წავიდა, რომ ეს ამბავი რევოლიუციონერებს გადასცეს.

**თეირანი**. ზერგენდედან თეირანში გაგზავნილმა რუსეთის საელჩოს მოხელემ ევრეინოვმა გზაზე ინახულა პოდპოლკოვნიკ გლაზუნოვის ბატარეა, რომელიც ზარბაზნებს უშენდა ქალაქს. გლაზუნოვის ბატარეა კაფრიკაჯარის მახლობლადაა. გლაზუნოვმა ევრეინოვს გადასცა, რომ სულ 50 ყუმბარა-ღა მაქვს და ამით ქალაქის აღება და ლიახოვის მიშველება ყოვლად შეუძლებელიაო. ევრეინოვი ძლივს-ძლიობით შევიდა ქალაქში. მან ლიახოვს გადასცა გლაზუნოვის სიტყვები—ლიახოვმა განაცხადა, მე შემიძლიან ერთი-ორი დღე კიდევ გავმაგრდე, მაგრამ ეს არაფერ სარგებლობას არ მოიტანსო. ამის შემდეგ ევრეინოვი სეპეხდართან და სერდარ ასადთან წავიდა. ევრეინოვმა რევოლიუციონერების მეთაურებს სთხოვა, რუს აფიცრების სახლებს თოფებს ნუ ესვრითო, რაიც მაშინვე ასრულებულ იქმნა. ევრეინოვმა ამას გარდა სეპეხდარს და ასადს შეატყობინა, რომ რუსეთის ბანკში ფულია და თუ ეს ფული დაიკარგა, პასუხისმგებლები თქვენ იქნებით. სეპეხდარმა და ასადმა ევრეინოვს გადასცეს: „თუ ბანკს თავს-დაეცემიან, ჩვენ იმის დასაცველად რაზმს გავგზავნით, მხოლოდ იმ პირობით, თუ სპარსელი ყაზახები ბრძოლაში არ ჩაერევიან. რაც შეეხება ყაზახებსაო, ჩვენ ბრძოლას იმ წამსვე შევწყვეტავთ, რა წამსაც ყაზახები ხელს აიღებენ სროლაზე. თუ ისინი იარაღს დაჰყრიან, მათი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნება. ყაზახთა ბრიგადა არ გაუქმდება, რადგან ყოველ კონსტიტუციანალურ სახელმწიფოს გაწვრთნილი ჯარი სჭირდება". შემდეგ მათ შეაქეს რუსის აფიცრები—მათ სპარსეთის ყაზახებში ისეთი წეს-რიგი შეიტანეს, რომ ისინი აღარაფერს ერიდებიან, ცოლ-შვილი ქალაქში უპატრონოდ დასტოვეს და შაჰის დასაცველად წავიდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ მათი მშველელი არავინ იყო და ვერ გაიმარჯვებდნენ. ამას გარდა მიდიოდნენ საბრძოლველად რევოლიუციო-

ნერებთან, რომელთაც მათვის თავისუფლება უნდოდათ. ევრეინოვმა ყველაფერი ეს ბანკის დირექტორს და ლიახოვს გადასცა. ამ დროს შაჰის ჯარი გაცხარებული ისროდა ზარბაზნებს და თოფებს, რევოლიუციონერებმა კი სროლა მაშინ შესწყვიტეს, როდესაც ევრეინოვი სეპეხდართან და ასადთან იყო.

2 ივლისს, დილით, ევრეინოვმა სეპეხდარს და სერდარ ასადს ლიახოვის შემდეგი წინადადება გადასცა: 1. ყაზახთა ბრიგადა ზარბაზნების სროლას შეაჩერებს; 2. თოფის სროლაზე ბრიგადა თოფის სროლითვე გასცემს პასუხს; 3. ბრიგადა რევოლიუციონერებზე თვითონ არ მიიტანს იერიშს და 4. ბრიგადა თვითონ გაუმკლავდება შაჰის იმ ჯარის კაცებს და სხვა მცარცველებს, რომელნიც ცარცვა-გლეჯას დაიწყებენ იმ რაიონებში, სადაც ყაზახთა ბრიგადა სდგას. რაც შეეხება იარაღის დაყრას, გადაწყვეტილია, რომ, თუ ამას გარემოება მოითხოვს, ყაზახები იარაღს ლიახოვს გადასცემენ, ხოლო ეს უკანასკნელი იარაღს კონსტიტუციონურ მთავრობას გადასცემს. რევოლიუციონერების მეთაურებმა ლიახოვს პასუხი ერთი დღის განმავლობაში უნდა შეატყობინონ. ამ საქმის მოგვარების შემდეგ ევრეინოვი ერთის მუჯახ ედინის თანხლებით მშვიდობიანად გავიდა ქალაქიდან და ზერგენდენში წავიდა, სადაც რუსეთის ელჩებს გადასცემს ყველაფერს. რევოლიუციონერები ქალაქში მშვენივრად იცავენ წეს-რიგს, დაუნდობლად ხვრეტავენ მცარცველებს და უცხოელებს და კერძოდ რუსებს დიდის პატივისცემით და სიმპატიით ეპყრობიან. ქალაქი ზარბაზნების სროლისაგან ძალიან არ დაზიანებულა.

**სტამბოლი.** აქაურმა ენჯუმენმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს რუსების მიერ ადერბეიჯანის დაჭერის გამო. ენჯუმენი იმუქრება, თუ ჯარი სპარსეთიდან არ გაიყვანეს, [illegible] ერთი კაციო. ამას გარდა ენჯუმენი ირწმუნება, პრინცი ზელი-სალთანე სპარსელებს ეჯავრებათ და იგი სპარსეთის ტახტზე ვერ ავაო. ამ მოწოდების პირი სახელმწიფოების წარმომადგენლებს გადასცეს. ბერძენმა დეპუტატმა ბუსიომა განაცხადა, დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრს სპარსეთის შესახებ შევეკითხებიო.

**თეირანი.** 3 ივლისს. დილის 9 საათზე, შაჰმა თავის ცოლითა და მემკვიდრით რუსეთის საელჩოს შეაფარეს თავი. შაჰს და მის ოჯახობას იცავს რუსეთის და ინგლისის ჯარის კაცები. შაჰმა ხელმწიფე-იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში შაჰი ხელმწიფე-იმპერატორს სთხოვს, მე და ჩემი ოჯახი თქვენ მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ ინგლისში.

სპარსელმა ემიგრანტებმა ძლიერი აგიტაცია გამართეს ლონდონში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. სპარსელმა პრინცმა მალგალიმ მკაცრი წერილი დაბეჭდა გაზ. „ტაიმს"-ში რუსეთის მოქმედების შესახებ და თან პროტესტი გამოაცხადა წინააღმდეგ ინგლისის მთავრობისა, რომელიც დასთანხმდა, რომ რუსეთი ჩარეულიყო სპარსეთის შინაურ საქმეებში და იქ თავისი ჯარი ჩაეყენებინა.

რამდენმამე გამოჩენილმა ინგლისელმა დეპუტატმა წერილი დაბეჭდა იმავ „ტაიმს"-ში. დეპუტატები სხვათა შორის შემდეგს სწერენ:

ის რუსის აფიცრები, რომლებიც შაჰის სამსახურში იმყოფებიან, რეაქციას უჭერენ მხარსა, პეტერბურგიდან მიღებულ ბრძანების თანახმად. რუსეთს ნამდვილად სწადიან ჩრდილოეთ სპარსეთის დაჭერა". დასასრულ დეპუტატები ბეჯითად მოითხოვენ, რომ ინგლისმა დაუყოვნებლივ უარი განაცხადოს რუსეთთან დადებულ შეთანხმებაზე.

**სეპეხდარის ნათქვამი:** რევოლიუციონერების მეთაურმა სეპეხდარმა გამოუცხადა უცხოელ კორესპონდენტებს: „თუ რუსეთი ჯარს არ გაიყვანს სპარსეთიდან, ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ რუსების წინააღმდეგ. სულ გავწყდებით და არ მოვითმენთ, რომ რუსის ჯარი დარჩეს სპარსეთშიო".

### რეშტის ენჯუმენის თავმჯდომარე ლონდონში.

რეშტის ენჯუმენის თავმჯდომარე დოქტორი იზმაილ-ხანი ლონდონში მივიდა იმ აზრით, რომ ინგლისელებს გააცნოს სპარსელ რევოლიუციონერების პროგრამა და განზრახვა. იზმაილ-ხანს უთქვამს, რომ სპარსელებს არავითარი სიძულვილი არა აქვთ უცხოელებისადმიო. მათ მხოლოდ ისა სურთ, რომ რუსის ჯარი გავიდეს სპარსეთიდანო.

### მამედ-ალი-შაჰი და რუსეთი.

ერთ რუსის დიპლომატს უთქვამს „რ. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის:

„იურიდიულად არც რუსეთს, არც ინგლისს უფლება არა აქვთ სპარსელებს შაჰის გამოცვლა დაუშალონ. მაგრამ ეს სულაც არ ჰნიშნავს იმას, რომ რუსეთისა და ინგლისისთვის მნიშვნელობა არა ჰქონდეს ეხლანდელ შაჰის გადაყენებას. მართალია ეხლანდელმა შაჰმა ბევრი შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ ჩვენ არა დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მამედ-ალი-შაჰი დიდს პატივსა სცემდა რუსეთს, ყოველთვის ცდილობდა მასთან კეთილ განწყობილებას და რუსული ენაც კი საკმაოდ კარგად იცის.

თუ ტახტზე მის უწლოვანო შვილს აიყვანენ, უთუოდ დიდი არეულობა დაიწყება სპარსეთში. ამ არეულობას იმ შემთხვევაში ჰადაურჩება სპარსეთი, თუ კაჯართა დინასტიას ტახტიდან ჩამოაგდებენ და მის ნაცვლად ბახტიარების ერთ-ერთს ხანს გაამეფებენ; მაშინაც დიდი არეულობა დაიწყება და [illegible] და უთანხმოება ექნება მეზობელ სახელმწიფოებთან. ამიტომ ჩვენთვის ძლიერ სასურველია, რომ მამედ-ალი-შაჰს ერჩეს ტახტი.

### ოსმალ. და სპარსეთის რევოლიუცია.

ოსმალეთის მთავრობა თუ პრესა დიდს ყურადღებას აქცევს სპარსეთის რევოლიუციას და რუსეთის მოქმედებას სპარსეთში. მთავრობას განუწყვეტელი მიწერ-მოწერა აქვს გამართული ტელეგრაფით თავის ელჩებთან პეტერბურგში, იმ აზრით, რომ რუსეთის მოქმედება რიგზე იცოდეს.

ახალგაზრდა ოსმალები სულით-გულით თანაუგრძნობენ სპარსელ რევოლიუციონერებს და ძლიერა სწუხან, რომ ამ ჟამად ოსმალეთს არ შეუძლიან უფრო ბეჯითად დაუჭიროს მხარი სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამას გარდა, ახალგაზრდა ოსმალთა ზოგიერთს წრეს მაინც ძლიერ აფიქრებს რუსის ჯარის ყოფნა სპარსეთში, რადგან ეს გარემოება თითონ ოსმალეთისთვისაც ძლიერ საშიშ დ მიაჩნიათ. ოსმალური გაზ. „ტენვირ-ი ეფკიარი" რომელიც გამოსთქვამს ამ წრეების შეხედულებას, მოითხოვს, რომ ოსმალეთის ჯარმა ადერბეიჯანის დასავლეთი ნაწილი დაიჭიროს და დარჩეს იქ, სანამ რუსის ჯარი არ გავა სპარსეთიდან. თუმცა ოსმალეთის მთავრობას ჭკუაში არ მოსდის ასეთი პლანი, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალთა ასეთს განზრახვას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

### რუსეთის და ინგლისის ნოტა.

რუსეთის და ინგლისის ელჩებმა ნოტა ჩააბარეს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. ინგლისი და რუსეთი წინადადებას აძლევენ ოსმალეთს, რომ მან თავის ჯარი გაიყვანოს ურმიიდან.

### შაჰის ჯარი მიდის ურმიისკენ.

მამედ-ალი-შაჰმა ივნისის გასულს, რუსეთის რჩევით, თავრიზიდან ჯარი გაგზავნა ურმიისა და სალმასისკენ ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ.

სპარსეთის საზღვარზე მდგომ ოსმალელ ჯარის უფროსს ბძანება მოუვიდა სტამბოლიდან სპარსელ გენერალს ჩვენ საზღვართან ახლო ნუ მოუშვებთო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივლისი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრი მსურველებს იწვევს, აიღონ ზანდერმა-ბალიკესრი-სომას რკინის გზის კონცესია. კონცესიას მთავრობა უგარანტიოდ იძლევა. ექსპლოატაციის ვადა—76 წელიწადია.

## მიწის-ძვრა.

**ათინა.** დამატებითი ცნობებით, მარტო ერთ სოფელ ავარში მიწის ძვრისგან დანგრეულა 400 სახლამდე, მომკვდარა 30 კაცი, ბევრი დაშავებულა. სხვა სოფლებიდანაც ასეთი ამბები მოდის.

ილიდეს პროვინციაში მიწის ძვრისაგან რამდენიმე სოფელი დანგრეულა. ზარალი დიდია.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ჟორესმა ლანდეიზენ-გარტინგის შესახებ განაცხადა: ის ფაქტი, რომ გარტინგი გაიქცა, ამტკიცებს იმ ბრალდებებს, რომელიც მას წამოუყენეს. ამიტომ სოციალისტები თხოულობენ, რომ საფრანგეთში აღარ განმეორდეს ასეთი საქმეებიო. მინისტრ პრეზიდენტმა კლემანსომ სთქვა, უკვე გაგზავნეთ რაც საჭირო იყოო. ჟორესის შეკითხვაზე, მაშ სჩანს, რომ უცხოელთა საიდუმლო პოლიციები საფრანგეთში აღარ იმოქმედებენო, კლემანსომ სთქვა, სოციალისტები წინადადებას შემოიტანენ, რომ კენჭის ყრით მოწონებულ იქნეს მთავრობის გადაწყვეტილებაო. დეპუტატთა პალატამ (345 ხმით წინააღმდეგ 90) მიიღო ფორმულა, რომლითაც მოიწონა მთავრობის განცხადება, რომ შეუდგება დემოკრატიულ რეფორმების განხორციელებას. მოიწონა აგრეთვე მთავრობის [illegible], რომ საფრანგეთში უცხოელთა საიდუმლო პოლიციები აღარ იმოქმედებენ.

**პეტერბურგი** ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავენი მუშაობას შეუდგნენ.

**ლონდონი.** წყალ ქვეშ მავალ ნავს „№ 11" დაღუპვის დროს, ერთმანეთს დაეჯახა ორი წყალ-ქვეშ მავალი ნავი „№ 16" და „№ 17". უკანასკნელი ძალიან დაზიანდა. კიდევ გადაარჩინეს ორი. დაიღუპა 11 კაცი.

**ბერლინი.** მანჯურიიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის იმპერატორმა თავის თავი ჯარის და ფლოტის უფროსად გამოაცხადა. აქამდის ჯარის და ფლოტის უფროსად სამხედრო მინისტრი ითვლებოდა. ამის შემდეგ სამხედრო მინისტრას მარტო საადმინისტრაციო უფლებები ექნება. პრინცმა რეგენტმა თავის ძმას [illegible] ფლოტის რეორგანიზაცია.

**მადრიდი.** ესპანიის მთავრობამ და ინგლისის სინდიკატმა ხელშეკრულება დასდეს. ამ ხელშეკრულებით ინგლისის სინდიკატმა ესპანიას უნდა აუშენოს 70,000,000 [illegible] ფლოტი.

## რუსეთი

**კიევი.** ჩამოვიდა სენატორი გარინი.

**სევასტოპოლი.** დააპატიმრეს მუხინი. მუხინი მონაწილეობას იღებდა ჯემ „პოტემკინზე" მომხდარ არეულობაში. მუხინი „პოტიომკინის" მაშინისტად იყო.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 102, გარდაიცვალა 34, ავად არის 837 კაცი.

**ოდესსა.** ბოლგარიიდან ჩემით მოვიდა 1500 ბოლგარელი სოკოლი. ნავთსადგურზე მათ დაუხვდნენ მთავრობის, ქალაქის და სლავიანთა კოლონიების წარმომადგენელნი. ნავთსადგურიდან სოკოლები მწყობრად ქალაქისკენ გაემგზავრნენ. გზაში ორკესტრი ბოლგარიის ეროვნულ ჰიმნს უკრავდა. დუმსკი მოედანზე მათ მიესალმა ქალაქის თავი, სობორნი მოედანზე—დეპუტაციები. მცხოვრებნი აღტაცებით დაუხვდნენ სოკოლებს.

**ტვერი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი, მემამულე კუშელევი, მემარჯვენე.

**არხანგელსკი.** ხოლერით ავად გახდა 11, გარდაიცვალა ხუთი კაცი.

**რიგა.** ხოლერით გარდაიცვალა 1 კაცი.

**რიაზანი.** კასიმოვის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ვიტებსკი.** 22 ივნისიდან 2 ივლისამდე ქალაქში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

### ვუძღვნი ვ. ლორთქიფანიძეს

„სამშობლოვ ჩემო, განთიადისკენ...
ასწიე ქედი კავკასიონო,
ტალღეში ტალღებს შეუტყლაშუნე
შენც საყვარელო, ცელქო რიონო!
გულში ნაღველით, მაგრამ ირგვლივ კი
სამოთხესავით შემოქარგულო,
სამშობლოვ ჩემო, განთიადისკენ...
ასწიე ქედი მონავ ბედ-კრულო,
ლამაზო მონავ, განთიადისკენ!.."
მესმოდა ეს ხმა წყვდიადს ღამეში,
გმირი მღეროდა და მიდიოდა
შეუდრეკელად ლახვარით ხელში.
მაგრამ ღრუბელი, შავი ღრუბელი
ვით გველეშაპი იზლაზნებოდა
და გმირს გამო[illegible] ბრძოლისა ველზე
საბედისწეროთ თავს ევლებოდა.
ჩაწყდა ჭაბუკის ხმა უშიშარი,
შავმა ყორანმა დასჩხავლა ბ[illegible]ეს
და ერთი შვილი დედის საქართველოს
კვლავ მიაბარა შავბნელს სამარეს.
ეს მე სიმწარე ტანჯული ერის
თუმც არაოდეს გამკვირვებია,
მაგრამ სამშობლოს-ჩემსა საყვარელს
ბედი შვილებშიც არ ჰქონებია!

ი. ევდოშვილი.

### ლერწამი

(ვლ. ლორთქიფანიძეს)

სტვენს იადონი... ჰყვავის სუმბული...
დაჭქრის ზეფირი, შესცინის მთა-ბარს,
მხოლოდ ლერწამა ცამდე ასული,
უფრო ამშვენებს ჩემს თბილ ბადნარს.

* *

[illegible] მძლავრად დაჭქროდა,
ნორჩი ლერწამი ძირში მოსტეხა,
შორს გადასტყორცნა, გადასროლა,
გაანადგურა... უფსკრულს ჩასხნა.

* *

დაობლდა ბაღი... არ სჩქეფს ანკარა...
მწარედ დადუმდა მთელი სამყარო,
ცას დაჰყვარდოვანს გადაჰფარა
შავი ზეწარი სამგლოვიარო.

ი. გრიშაშვილი.

# კიდევ პროვოკატორები

„[illegible]" [illegible] ბურცევმა, რომელმაც აზეფის პროვოკატორობა გამოაშკარავა, კიდევ იჩინა თავი. მან საფრანგეთში, ჟორესის გაზეთში დასტამბა წერილი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა და ალიაქოთი გამოიწვია.

რუსეთის საიდუმლო პოლიცია საზღვარ-გარედაც ჰყავს. იგი თვალყურს ადევნებს უცხოეთში მცხოვრებ რუსებს და ყველა იმათ, ვინც რუსეთის წინააღმდეგ რამეს განიზრახავს. ამ საიდუმლო პოლიციის უფროსი პარიზში სცხოვრობს. ბურცევმა წერილში საჯაროდ გამოაცხადა, რომ რუსეთის საზღვარ-გარეთელ პოლიციის ეხლანდელი უფროსი პეტროვსკი პროვოკატორია, რისთვისაც მას ოცი წლის წინად სასჯელი გადაუწყვიტეს საფრანგეთშიო. ბურცევმა დაბეჭდა მთელი ისტორია პეტროვსკის მოქმედებისა, აღნიშნა მისი ნამდვილი გვარი, გეკელმანი, და ის გვარები, რომელსაც იგი სხვა და სხვა დროს ატარებდა. ყველაფერი გამართლდა. საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტს კლემანსოს დეპუტატ ჟორესისთვის უთქვამს, ბურცევის სიტყვები მართალია, პეტროვსკი გეკელმანიაო. რუსული გაზეთები სავსეა ეხლა ამ კაცის მიერ ჩადენილ ამბებით. როგორც ირკვევა, იგი აზეფზედაც-კი უფრო „დიდი" პროვოკატორი ყოფილა, ამიტომ მისი გაცნობა ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს.

### გეკელმანი—სტუდენტი.

აბრამ გეკელმანი სწავლობდა იურიევის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გეკელმანი ძალიან დაინტერესებული იყო პოლიტიკურის მოძრაობით. ეს იყო მიზეზი, რომ გეკელმანი სტუდენტობაში ერთ მოწინავე ახალგაზრდად ითვლებოდა და მალე იმის გარშემო თავი მოიყარა რამდენიმე სტუდენტმა. დაარსეს მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაცია. ცოტა ხნის შემდეგ ეს ორგანიზაცია დაუკავშირდა მოსკოვის, პეტერბურგის და კიევის ორგანიზაციებს. გადიოდა დრო და იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტების ორგანიზაცია უფრო სერიოზულ ხასიათს იღებდა.

მაგრამ თურმე ნუ იტყვით, პოლიციას ყველაფერი მშვენივრად სცოდნია, და მალე მოსკოვსა, პეტერბურგსა, კიევსა და იურიევში კარგა ბლომა ხალხი დაატუსაღეს. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, არ იცოდნენ, ვინ აძლევდა პოლიციას ასეთ ცნობას. როგორც ეხლა გამოირკვა, ამას სულ გეკელმანი სჩადიოდა. იგი პოლიციის აგენტად ყოფილა.

ამის შემდეგ გეკელმანი გადავიდა პეტერბურგში, სადაც გაიცნო რევოლიუციონერები და აქაც მოწინავის სახელი მოიხვეჭა. რევოლიუციონური ორგანიზაციები პასუხ-საგებ საქმეებზე გზავნიდნენ. გეკელმანის პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ რუსეთში და თვით პეტერბურგში ბევრი რევოლიუციონერი დააპატიმრეს.

### გეკელმანი ლანდეიზენად გადაიქცა.

რაკი საქმე ასე წავიდა, რევოლიუციონერებმა თავიანთი მოქმედება პარიზსა და ჟენევაში გადაიტანეს. მაგრამ მალე გეკელმანმაც გვარი გამოიცვალა, ლანდეიზენი დაირქვა და პარიზისაკენ გაქანდა. პარიზში იგი ჩავიდა 1884—85 წელს. არც აქ დარჩა უსაქმოდ გეკელმან-ლანდეიზენი. მან იქაურ სტუდენტობაში დაიწყო „მუშაობა". ლანდეიზენი სცხოვრობდა მდიდრულად და ფული ყოველთვის ბლომად ჰქონდა. პარიზში ჩასვლისთანავე ლანდეიზენი რევოლიუციონერებს მოშორდა და განმარტოებულად დაიწყო ცხოვრება. მალე რუსეთიდან პარიზში მისი ძველი ნაცნობები და მეგობრები ჩამოვიდნენ. ამათ ჩამოსვლამ თითქოს გავლენა იქონია ლანდეიზენზე და მან ცოტ-ცოტად მუშაობა დაიწყო.

ოთხმოციან წლების მიწურულებში იგი უკვე უკიდურეს მემარცხენეთა წრეში იყო. მას ტერორის მეტი არაფერი სწამდა. ლანდეიზენი ხშირად დადიოდა ხოლმე ცნობილ ლავროვსა და ტიხომიროვთან. „მოხუცები" ტყუილა უბრალოდ ატარებენ დროს,—იტყოდა ხოლმე ლანდეიზენი, როდესაც ლავროვიდან ბრუნდებოდა,—ვის რად უნდა მათი ლიტერატურა? ეხლა მოქმედებაა საჭირო და ისინი კი ჩხირკედელაობენ"-ო... ლანდეიზენი ძალიან დაუმეგობრდა ტიხომიროვს (ეხლა ტიხომიროვი შავ-რაზმელია, რედაქტორობს „მოსკ. ვედომოსტს".)

### ალექსანდრე მესამის მოკვლის განზრახვა.

ბურცევის სიტყვით, ლანდეიზენს რევოლიუციონერთა ორგანიზაციაში წინადადება შეუტანია, მოვკლათ ალექსანდრე მესამე, როდესაც იგი პარიზში ჩამოვაო. (იმ ხანად იმპერატორი აპირებდა ჩასვლას). დიდის კამათის შემდეგ გადაუწყვეტიათ ხელმწიფის მოკვლა. ლანდეიზენს უკისრია ყუმბარებისა და ასაფეთქებელ მასალის შოვნა და მიტანა. ლანდეიზენის რჩევით, რევოლიუციონერები წასულან კლამარის ტყეში და აქ დაუწყიათ ყუმბარების დამზადება და სროლაში ვარჯიშობა. ყველაფერი მოამზადეს და ყუმბარები და სხვა იარაღი ერთ სახლში მიიტანეს. მეორე დღეს არჩეულ კაცს ყუმბარები უნდა მიეღო... რომ მოულოდნელად ღამე პოლიცია დაეცა სახლს, გაჩხრიკა იგი და ზევრი რევოლიუციონერი დააპატიმრა. თვითონ ლანდეიზენი კი „გაიქცა". ლანდეიზენი საფრანგეთიდან გავიდა და ამხანაგებს წერილი დაუტოვა, იძულებული ვარ საფრანგეთს განვშორდეო. დატუსაღებულნი სამართალში მისცეს. მათ სამ-სამი წლით სატუსაღო გადაუწყვიტეს, ლანდეიზენს კი ხუთი წლით, რადგან სასამართლოში გამოირკვა, რომ ყველაფერი ლანდეიზენის ინიციატორობით დამზადდა. როგორც შემდეგ გამორკვეულა, გამცემი და პროვოკატორი იგივე ლანდეიზენი ყოფილა.

### ლანდეიზენი ბერლინში გარტინგის გვარით.

პარიზიდან „გაქცევის" შემდეგ ლანდეიზენი ბერლინში ჩავიდა. უნდოდა რევოლიუციონერებს დაჰმეგობრებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან რევოლიუციონერთა წრეებში იმის შესახებ ძალიან ცუდი ხმები დადიოდა. აქ ლანდეიზენმა კვლავ გამოიცვალა გვარი და გარტინგის გვარით დაიწყო ცხოვრება. რადგან აქ დიდი ვერაფერი მოახერხა, რუსეთში წავიდა. იძულებული გახდა ბერლინიდან წასულიყო, რადგან დეპუტატმა ბებელმა რეიხსტაგში შეკითხვა შეიტანა, გარტინგსა და გერმანიის პოლიციის შორის რაღაც არა-ჩვეულებრივი ურთიერთობაა და რა არის ამისი მიზეზიო.

### გარტინგი და აზეფი.

გავიდა ხანი, დრო, და გარტინგი რუსეთიდან კვლავ პარიზს დაბრუნდა. ეხლა გარტინგი უკვე წარჩინებული კაცი იყო. იგი რუსეთის საიდუმლო პოლიციის უფროსად დაინიშნა საზღვარ-გარედ. გვარი კვლავ გამოიცვალა და პეტროვსკი დაირქვა. ჩასვლისთანავე იგი დაუმეგობრდა აზეფს. საინტერესო ის არის, რომ აზეფი მის გავლენის ქვეშ იყო, გარტინგი მის ხელმძღვანელად ითვლებოდა და აზეფიც უიმისოდ ერთ ნაბიჯსაც არა სდგამდა. აზეფის სახელზე მოსულ წერილებს გარტინგი იღებდა, წერილებს თვითონ ინახავდა და მარტო შინაარს გადასცემდა [illegible] ციონერებმა გაიგეს, რომ აზეფის სახელზე მოსულ [illegible] ხსნიდა, ყველაფერი ეს აზეფს გადასცეს და ურჩიეს სხვაგან წასულიყო, მაგრამ აზეფმა ყურებიც არ შეიბერტყა, „ყველა-ყველა, მაგრამ მაგისი კი არ მეშინიანო", განაცხადა მან. აზეფი ფულის მოყვარული იყო და ამით აიხსნება ის რომ მან მეტად სახიფათო როლი იკისრა, ყოველთვის რევოლიუციონერებში ყოფნა, გარტინგი კი განზე იდგა. აზეფის და გარტინგის უკანასკნელი საქმე ის იყო, რომ რევოლიუციონერებისათვის ჰაეროპლანი უნდა გაეკეთებინათ, ამ ჰაეროპლანით რუსეთში წასულიყვნენ და ვითომ ხელმწიფე მოეკლათ. ამისთვის აზეფმა რევოლიუციონერებს 40,000 მანეთი გამოართვა. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ბურცევმა აზეფის საქმე გამოაქვეყნა და ეს საქმე ჩაიშალა.

პოლიციასთან დამოკიდებულობის დროს აზეფის შუამავლად გარტინგი იყო. სხვათა შორის გარტინგმა აზეფი პოლიციას გაგზავნინა სარატოვში, სადაც სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის კრება იყო. ამავე კრებაზე ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მხრივ იგივე აზეფი გაჰგზავნა. აქედან გასაგებია, როგორ იმოქმედებდა გარტინგზე აზეფის გაცემა. მას, როგორც ამბობენ, ძალიან ეშინოდა აზეფის. უნდოდა ამბების გამოქვეყნების შემდეგ ყველაფრისთვის თავი მიენებებინა და კერძო ცხოვრება დაეწყო, მაგრამ განზრახვა ვერ შეისრულა და ისევ პარიზის საიდუმლო პოლიციის უფროსად დარჩა. შარშან გარტინგი არგენტინაშიც (ამირიკაში) ყოფილა ადმირალ ჩუხნინის მკვლელის საპოვნელად, მაგრამ ხუთი თვის სეირნობის შემდეგ ისევ პარიზში დაბრუნებულა ხელ-ცარიელი.

ბურცევის წერილების შემდეგ, როგორც ამბობენ, იგი ლონდონში გაქცეულა და იქ იმალება. საფრანგეთის პოლიცია, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის სიტყვით, საფრანგეთში მას დევნას არ დაუწყებთ, რადგან სასამართლოს განაჩენს ძალა აღარ აქვს—ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგაო.

### ბურცევი.

„რუსკ. სლოვოს" კორესპონდენტი ე. ბელოვი ბურცევს შეჰკითხებია, განა შესაძლებელი არ არის, რომ შეცდომაში შესულიყოთო. ბურცევს ამაზე განუცხადებია, თუ რამე საბუთი არა მაქვს, თავის დღეში არაფრის მტკიცებას არ დავიწყებ. აზეფზედაც ასე ამბობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც გამართლდა ჩემი სიტყვები. არ დავმალავ. ძალიან ძნელი იყო ამ საიდუმლოების გაგება. პოლიციის დეპარტამენტში სულ 3—4 კაცმა იცოდა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა გარტინგი. გარტინგი რომ მართალი ყოფილიყო, არ გაიქცეოდა და საქვეყნოდ განაცხადებდა, ტყუილია, მე ლანდეიზენი კი არა, ესა და ესა ვარო. სრული 19 წელიწადია ფიცი დავდე, ლანდეიზენი მეპოვნა და ბოლოს ვიპოვე. გარტინგის გამო დიდი ჩხუბი მომდიოდა რევოლიუციონერებთან. ამ 19 წლის წინად განვაცხადე, ლანდეიზენი პროვოკატორია მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. აზეფი და გარტინგი ძალიან ოსტატები იყვნენ: ისეთ სახის გამომეტყველებას მიიღებდნენ, რომ კაცს ცამდის მართლები ეგონებოდა. ლანდეიზენზე ეჭვი ჯერ კიდევ მაშინ დამებადა, როდესაც ამ 19 წლის წინად ერთ ამხანაგთან ერთად რუსეთში მიდიოდა. ლანდეიზენი საზღვარზე დაგვიხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირი ზომები მივიღეთ, მაინც შევამჩნიე, თვალყურს გვადევნებდა. ამხანაგს ურჩიე უკან დავბრუნებულიყავით, მაგრამ მან არ გამიგონა და წავიდა, ჩემი ამხანაგი მეორე დღესვე დააპატიმრეს რუსეთში. მე რომ უკან დავბრუნდი, ლანდეიზენი ცხარობდა, რატომ არ მიდის, საქმე გაფუჭდებაო, ამხანაგები შემომიჩინა, მაგრამ მე უარი განვაცხადე, და თან დაუმატე, ლანდეიზენი პროვოკატორია მეთქი. ჩემმა სიტყვებმა არ გასჭრეს. ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და პარიზში 24 მაისს აუარებელი ემიგრანტი გაჩხრიკეს და 13 კაცი დააპატიმრეს, მათ შორის, ვიქტორ ნაკაშიძე და თავადი მელიქიშვილი. ლანდეიზენი სადღაც გადაიკარგა, მალე პარიზში ახალი პირი გაჩნდა—არკადი მიხეილის ძე გარტინგი. სცხოვრობდა ხან პეტერბურგში, ხან იტალიაში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს წავიდა მანჯურიაში და უკანასკნელ დროს ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრას მისდევდა თან. ბოლოს გარტინგი პარიზში დასახლდა. აქ არავის არ ეჩვენებოდა, ბინა ჰქონდა რამდენიმე სახლში,

ქუჩაში ისე არ გამოდიოდა, რომ გრიმი არ გაეკეთებინა და სხვა. ამბობენ, გარტინგი არც საიდუმლო პოლიციის აგენტებს ეჩვენებოდაო. როგორც გადმოგვცეს, გარტინგს დაქირავებული ჰქონდა სახლი პარიზის განაპირა უბანში. ამ სახლში იღებდა აგენტებს, მაგრამ თვითონ კი არა,— ერთის ქალის შემწეობით, თვითონ მეორე ოთახიდან უგდებდა ყურს, რა ამბები მოჰქონდათ აგენტებს!

სანამ 29 მაისის გაჩხრეკა და დაპატიმრება მოხდებოდა, პარიზში ტერორისტთა ორი ჯგუფი არსებობდა. ეს ჯგუფები ერთმანეთს არ იცნობდნენ. ლანდეიზენმა იმდენი ჰქნა, რომ ეს ორი ჯგუფი შეაერთა. 29 მაისის დატუსაღების ორი დღის წინად მომზადებული ყუმბარები და სხვა ყველა წევრებს დაურიგა, ზოგს რა გაატანა სახლში, ზოგს რა, ასე რომ გაჩხრეკის დროს ყველას რამე უნდა აღმოსჩენოდა. ტერორისტებმა ვერ გაიგეს ეს და ხაფანგში მოჰყვნენ.

**ვინ მისცა ბურცევს ეს ცნობები.** პეტერბურგში ხმა გავარდა, რომ ბურცევს ეს ცნობები პოლიციის დეპარტამენტის ერთმა დიდმა მოხელემ გადასცაო. უკვე შესდგომიან იმის გამოძიებას, თუ ვინ არის ეს მოხელე. ჰფიქრობენ, ეს მოხელე პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ლოპუხინი უნდა იყოსო, რომელიც აზეფის საქმის გამო ეხლა ციხეში ზის. ბურცევს უთქვამს, ამ დღეებში სხვა საინტერესო ცნობებსაც გამოვაქვეყნებო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**საქმე „სენაკის რესპუბლიკისა“.** როგორც ვწერდით, 30 ივნისს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა ეგრედ წოდებულ „სენაკის რესპუბლიკის“ საქმისა. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა, მხოლოდ ყოველ ბრალდებულის ორ ნათესავს მიეცა ნება სხდომაზე დასწრებისა. პასუხის-გებაში მიცემული იყო 17 კაცი: სტუდენტი კოწია ქავთარაძე, ფარმაცევტი იოსებ ცაბაძე, მასწავლებელი ნიკიფორე შალამბერია, სემინარიის მოსწავლე იულონ სოსელია და სხვანი. ყველა ამათ ჰბრალდებოდათ ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრობა და სარევოლიუციო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულებს იცავდნენ ვექილები ი. ბარათაშვილი, მელქისედევ ფალავა, ნ. ელიავა, ბაიკოვი, კაჩუხოვი, ალ. ყანჩელი, მაჭავარიანი, ბრუცკი, მალკინი და გიორგი ფალავა. სასამართლოში სამეგრელოდან დაბარებული იყო 30 მოწმეზე მეტი. მოწმეების ჩვენებამ და, საზოგადოდ, საქმის გამოძიებამ სამ დღეს გასტანა. 3 ივლისს სასამართლომ დაასრულა გამოძიება და 9 საათის თათბირის შემდეგ, ღამის 12 საათზე, გამოაცხადა განაჩენი. სამხედრო ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო 13 ბრალდებული. ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს: სტუდენტს კოწია ქავთარაძეს, მასწავლებელს ნიკიფორე შალამბერიას, ფარმაცევტს იოსებ ცაბაძეს, სემინარიის მოსწავლეს იულონ სოსელიას, იასონ ჩიხლაძეს, კოლია სარაზანაშვილს, ძმებს ანდრია და ისლამ ფალავეებს, ფართხუ სართანიას, იესე სართანიას და პეტრე პატარაიას. სასამართლომ ამასთან დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ ჩამოხრჩობა აღნიშნულ პირთ შეეცვალოთ უვადო კატორღად. დიხამინჯიას და ერასტი წირქვაშვილს მიესაჯათ ხუთ ხუთი ვადით კატორღაში გაგზავნა. დანარჩენი ბრალდებულნი, მასწავლებელი არსენ წითლიძე, შალვა ფალავა, ანდრია და პლატონ გაბუნიები გაამართლეს.

**პანაშვიდი.** დღეს, 5 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულ ვლადიმერ ლორთქიფანიძის გარდაცვალების მეცხრე დღეს გადახდილ იქნება პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ, 11 ნახევარ საათზე.

**ალაევის წასვლა ოსმალეთში.** ცნობილი პუბლიცისტი, ბაქოს გაზეთის თანამშრომელი და თათრულ გაზეთის „ტარაკის“ რედაქტორი ახმედ-ბეგ ალაევი, „ბ. ნ.“-ს სიტყვით, დიდი ხნით ოსმალეთში გადასახლებულა.

**სომეხთა დამხმარებელი საზოგადოება.** გერმანიაში შემდგარა ახალი საზოგადოება. საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე, ხელი შეუწყოს რეფორმატიულ მოძრაობას სომეხთა შორის. გამგეობის წევრებად ყოფილან პროფესორები დ. მ. რადდე, გ. გუტხე და გრეგორი, ექიმი რორბახი, პასტორი სტირი და სხვანი (ტ. ლ.)

**ერობის შემოღების შესახებ.** ტფ. გუბერნატორმა სთხოვა მარშალს თ.-ვ. პ. ი. თუმანიშვილს და ქალაქის თავის მოადგილეს ა. ხატისოვს, გაუგზავნონ სია იმ პირთა, ვისი მოწვევაც სასურველად მიაჩნიათ იმ თათბირზე, რომელმაც გუბერნატორის თავმჯდომარეობით, უნდა განიხილოს საკითხი ერობის შემოღების შესახებ.

**ავტომობილების მიმოსვლა.** აზრადა აქვთ მანგლისსა და ტფილისს შუა მოაწყონ ავტომობილების მიმოსვლა. ფასი კაცის თავზე ხუთი მანეთი იქნება.

**ლოტო კლუბებში.** ადმინისტრაციის ნება-რთვით 1 ივლისიდან კვლავ შემოიღეს ლოტო ტფილისის კლუბებში.

**თელავის რწმუნებული.** 27 ივნისს თელავში მოხდა ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები. აირჩიეს დ. ი. ალხაზოვი, ი. ი. იარალოვი, მ. ა. სოლოვიოვი, ი. ვ. დათუნაშვილი, ს. დ. ცისკარაშვილი, ა. ლ. ნაიბოვი და მ. გ. ბაღიჯანოვი. კანდიდატებად: მ. ს. აჯიმამუდოვი, ბ. გ. კოხტიევი და დ. მაჭავარიანი.

**10 წლის კატორგა.** კავკაზ. სამხედრო სასამართლომ 10 წლის კატორგა გადაუწყვიტა ვასილ ჯანგველაძეს, რომელსაც ჰბრალდებოდა აღკრძალულ საზოგადოების წევრობა და სამხედრო სამსახურიდან გაქცევა.

**უპასპორტოები.** პოლიციის მე-10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე გაჩხრეკის დროს 3 ივლისს დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

**თათბირი ერობის შესახებ.** 3 ივლისს საღამოთი თავ. ალ. მ. არგუთინსკის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, ერობის შესახებ მოსალაპარაკებლად. საბჭომ სხდომაზე მიიწვია საზოგადოების წევრები და გარეშენი, მაგრამ სხდომას მხოლოდ 17-მდე კაცი დაესწრო. გამოითქვა სხვა და სხვა მოსაზრება კამათი. უმთავრესად ორი აზრის გარშემო გაიმართა. ერთმა ჯგუფმა განაცხადა, ჩვენს მუშაობას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება, რადგან მთავრობა ჩვენ არას გვეკითხება და თვით შეუდგა მუშაობას მასალის მოსაკრებად და შესამუშავებლადაო. მეორე ჯგუფი კი იმას ამბობდა, რომ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა დამოკიდებული არ არის ადგილობრივ მთავრობაზე. უმაღლესი საკანონ-მდებლო მთავრობა-კი უსათუოდ ანგარიშს გაუწევს ჩვენ მიერ სერიოზულად შემუშავებულ მასალას, ამიტომ უნდა შევუდგეთ მასალის შეკრებას, სისტემაში მოყვანას და ერობის დებულების პროექტის შემუშავებას. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ რაიონის ეკონომიურად შესწავლასა და სხვა. ბოლოს კრებამ დაადგინა, არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომიტეტი და დაევალოს მას საერობო დაწესებულებათა შესახებ მასალის მოპოება და შემუშავება. საჭიროდ სცნეს კომიტეტის არჩევნამდე შემუშავებულ იქნას პროგრამა და აგრეთვე გამოირკვეს საკითხები, რომელთა ყოველ მხრივ შესწავლა დაევალებათ მცოდნე პირებს. პროგრამისა და საკითხების შესადგენად არჩეულ იქმნა დროებითი კომისია შემდეგ პირებისაგან: გ. მ. თუმანოვისა, გ. მ. ლასხიშვილისა, ს. პ. ეირანოვისა, პ. გოთუასა, ბ-ნ ხრამელაშვილისა და ათანასიანცისაგან. ეს კომისია შეიკრიბება 8 ივლისს და შეუდგება დავალების განხორციელებას.

**სწავლა დამთავრებულნი.** ქუთაისის (დ. ხონში) სამასწავლებლო სემინარია წელს გაათავა 22 კაცმა. ამათში 15 ქართველია, 1 უდინი და 6 რუსი. გარდა ერთისა, ყველა პანსიონერი იყო.

3 ივლისს ერევნის მოედანზე დააპატიმრეს ვინმე ასტვაცატუროვი, რომელიც ნამდვილად აღმოჩნდა გრიგორ მარქაროვი. ამას ჰბრალდებოდა ყუმბარების და სხვა იარაღების შენახვა. და ეძებდნენ დასაჭერად. მისი ცოლი ზენო დაპატიმრებულია და მეტეხში იხდის სასჯელს.

3 ივლისს კახეთის ქუჩაზე დააპატიმრეს გიორგი კვერნაძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ უკან დაბრუნებულიყო.

# პატარა ფელეტონი

## საშიშარი მაგალითი

სწორე მოგახსენოთ, ზოგჯერ მეტის მეტად მაოცებს ხოლმე ჩვენი მთავრობის არა-ჩვეულებრივი სულგრძელობა. იმის ნება-რთვით დღეს ქალაქი აივსო ახლად გამოგონილ თვით-მოძრავ ეტლებით, ეგრედ წოდებულ ავტომობილებით. ავტომობილი ისეთი გამოგონება გახლავთ, რომელიც ცუდ მაგალითს აჩვენებს რუსეთის თვითეულ ერთგულ ქვეშევრდომს. ავტომობილს რაღაც შინაგანი მანქანა აქვს, რომლის მეოხებითაც იგი თვითონ მოძრაობს და ყველა გზაზე უცხენოდ და უორთქლმავლოდ ელვის სისწრაფით ფრენა შეუძლია.

რუსეთის თვითეულ ერთგულ ქვეშევრდომს კი სასტიკად აკრძალული აქვს ისეთ შინაგან სულიერ მანქანის ქონება, რომლის შემწეობითაც იგი თვის და არა მთავრობის მიერ არჩეულ გზებზე ელვის სისწრაფით ფრენას შესძლებს.

რკინის გზებისა და ცხენ-შებმულ ეტლების ნება-რთვა მე სრულებით არ მაკვირვებს, რადგან ისინი კეთილი მორჩილების მაგალითს აძლევენ თვითეულ ერთგულ ქვეშევრდომს: ნათლად მეტყველებენ, რომ, როგორც ვაგონები და ეტლები წინ შებმულ ორთქლ-მავალს და ცხენებს, ისე სახელმწიფოს თვითეული მკვიდრიც წინ შებმულ მთავრობის ძალას უნდა ემორჩილებოდეს. ყველა ეს ხომ ცხოვრების სხვა და სხვა გზაზე მთავრობის მეთაურობის და ხალხის მაჩანჩალობის სამაგალითო სურათია. ახლად გამოგონილმა და მთავრობის მიერ ნება-დართულმა ავტომობილმა კი მთელი ეს ჩვეული სურათი თავდაღმა დააყენა: იგი არც სხვისი მაჩანჩალაა, ისეთი დამოუკიდებელი და თავისუფალი მანქანაა, რომელიც ყველგან თავის ნებით მოძრაობს.

როცა რკინის გზის ორთქლმავალი მთავრობის მიერ გაყვანილ გზებზე თავის კუდზე მიბმულ ვაგონებს მიაჩანჩალებს, მძლავრად ქშინავს და თავის ორთქლის ქვაბის სიღრმიდან ზეცას დიდებულ „პა-პა-პა-ს სტყორცნის, ესეც კეთილი მაგალითია თვითეულ ერთგულთ ქვეშევრდომისათვის: იგი ნათლად ჰხედავს, რომ მთავრობასაც უჭირს ხალხის დაუსრულებელი ჩანჩალი, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ზევარდმო მონდობილებით უნდა აჩანჩალოს და თავის რკინის შიგანიდან ამონატყორცნი დაუსრულებელ ძლიერების სულ-თქმა უნდა გააგონოს ხალხს.

აგრეთვე ის ცხენები, რომელნიც ეტლებს დაატარებენ სხვა და სხვა გზაზე, არაფერ ცუდს არ ასწავლიან ხალხს, არამედ ნათლად აჩვენებენ ამ უკანასკნელს, რომ როგორც ცხენები ქშინავენ და მწარე ოფლი სდით, როცა ეტლს მიათრევენ, ისე მთავრობის მოხელეებიც ქშინავენ და მწარე ოფლი სდით, როცა მთელი სახელმწიფოს ეტლს უმაღლეს მთავრობის მიერ ნაჩვენებ გზებზე დაათრევენ.

ამ დროს კი მთავრობის მიერ ასე სულ-გრძელად ნება-დართული ავტომობილი არც არავის მიაჩანჩალებს, არც რკინის მუცლიდან მძლავრი „პა-პა-პა“, არც ცხვირში ქშენა, არც მწარე ოფლი სდის, არამედ, თავისუფლად მოძრაობის დროს იმის მანქანიდან განუწყვეტელი „ფუ-ფუ-ფუ“! ისმის, რომლითაც იგი თითქო მთელ დღევანდელ წყობილებას ქოქოლას აყრის.

**ი. ნაკაშიძე.**

# მოწერილი ამბავი

**ს. ქვიშხეთი.** სხვაგან ავად თუ კარგად ხალხმა მოისვენა, განსაცდელი გადაიარა და მძიმე, მაგრამ ჩვეულებრივ საქმეს შეუდგა. ჩვენ სოფელს-კი არა ეშველა-რა. რაც დრო გადის, ხალხის შევიწროება თუ არ მატულობს, არა კლებულობს. მომავლის სამედოს არას გვიქადის. სოფლის მოხელეთა შენახვის გადასახადმა უკანასკნელ ხანებში ერთი ორად იმატა, მსხვილმა მემამულეებმა მუხრუჭი მოგვიჭირეს და სულ რაც 4—5 წლის განმავლობაში დაჰკლებიათ. ეხლა ინაზღაურებენ, მოსავალმაც გვიმტყუნა. ამას ზედ დაერთო მთავრობის კაცების მოთხოვნილება— აღმოუჩინოთ, მიუთითოთ იმ კაცებზე, რომელთაც რამდენიმე მკვლელობა ჩაიდინეს ჩვენს არე მარეზე. ჩვენ ეს არ შეგვიძლია, რადგან არ ვიცით ვინ არიან ისინი და მათ-კი გონიათ—ვიცით და ვმალავთ და ამისათვის ტანჯვას ვიტანთ.

არც შინაური, რაც ჩვენ ხელთ არის, საქმეები მიგვდის კარგად, ყოველივე ხელიდან გვეცლება და იღუპება. ავიღოთ, თუ გინდათ, სასოფლო ეკლესია. მრევლი დიდი ჰყავს და კიდევაც შეუძლიან კარგად შეინახოს იგი. აბა ეხლა შებძანდით და ნახეთ: კედლები ჩამონგრეულია, სახურავში წყალი, როგორც ცხრილში, ისე გადის, სამკაული დაძველებულია და სხვა. მაგრამ ჩვენ სულიერ მამას ეს სრულებითაც არ აფიქრებს და აწუხებს. ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებით, ეკლესიას უნდა ჰქონდეს ფულად, თუ მეტი არა 300 მანეთი მაინც. სხვა რომ არა მივიღოთ რა მხედველობაში, ისიც საკმაო აღვნიშნოთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინად ქ-ნმა მ. ქართველიშვილისამ შეჰკრიბა ყულაბით ეკლესიის სასარგებლოდ 70 მანეთამდე და არავინ იცის ან ყულაბი სად არის ან ფული რას მოხმარდა. გარდა ამისა ეკლესიის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა წესის ასრულების დროს ფული გროვდება და კაცმა არ იცის, მღვდლისა და იმის მნათის გარდა, სად არის ეს ფული ან რას ხმარდება. ზოგიერთს რომ დაუჯეროთ, ეკლესიის ფულით აქა-იქა ხელს უმართავენ, თითქო ეკლესია საკრედიტო დაწესებულება იყოს.

ორი თუ სამი წლის წინად ს. ბედდიოში მიწის თხრის დროს იპოვნეს ვერცხლის სურა, რომელშიაც რამდენიმე ოქრო აღმოჩნდა. რადგან ეს ნივთები ნაეკლესიარში აღმოჩნდა, ისინი გლეხებმა მღვდელს ჩააბარეს იმ იმედით რომ იგი ეკლესიაში შეინახავდა. ეხლახან, როცა ჰკითხეს მღვდელს, სად არის ეს ნივთებიო, მან უპასუხა—მუზეუმს გადავეციო. კარგი იქნებოდა გვეწვებინა მ. დორიას ან თავის მრევლისათვის ან პრესის საშუალებით, რომელ მუზეუმს ჩააბარა ეს ნივთები. რაც შეეხება ეკლესიის ქონებას, ჩვენის ფიქრით, იგი მოვალე ანგარიშში მისცეს მრევლს—რა შემოსავალი აქვს და სად იხარჯება იგი. უამისოდ ყველას უფლება ექნება ეჭვი შეიტანოს, რომ ეკლესიის ფული არა ეკლესიის საჭიროებას ხმარდება, რასაც მჭერმეტყველად ამტკიცებს ჩვენი ეკლესიის აწინდელი მდგომარეობა.

**ქვიშხეთელი.**

# ბიბლიოგრაფია

„Тексты и разысканія по армянско-грузинской филологіи“. — кн. IX. „Антіохъ Стратичъ.—Плѣненіе Іерусалима персами въ 614 г.“—Груз. текстъ изслѣд., изд. переводъ и араб. извл. прилож. пр. Марръ. —პეტერბურ. 1909 წ. (VI + 82 + 66 + 66 + 8 გვ.).

სპარსელების მიერ იერუსალიმის აოხრების შესახებ, მეშვიდე საუკუნის დასაწყისში, მეტად მოკლე და ღარიბი ცნობები შენახულა. არაბულ-ბერძნულ-სომხური ფრაგმენტები ამ შემთხვევის შესახებ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ზოგად ზოგად ცნობებს იძლევიან და ერთს სრულს სურათს ვერ ჰხატავენ. მარტოოდენ ქართული ხელთნაწერი „წარტყუენა იერუსალიმისა“, რომელიც აღმოუჩენია ბ-ნ მარრს საპატრიარხო წიგნთ-საცავში იერუსალიმს 1902 წ., იძლევა სრულ ცნობებს და ზემოაღნიშნულ ფრაგმენტებს ისტორიულ დეფექტებს მოკლებულია. ძვირფასი ესე ნაშთი მიეკუთვნება მეათე საუკუნეს.

წიგნის პირველ ნაწილში (1—77 გვ.) ბ-ნი მარრი ვრცლად იკვლევს ქართულ ვერსიის წარმოშობის და თან-და-თან განვითარების ისტორიას, ადარებს მას არაბულ სომხურ-ბერძნულ ვერსიებთან და დაასკვნის, რომ თავდაპირველად „წარტყუენის“ ისტორია დაიწერა ბერძნულ ენაზე მეშვიდე საუკუნეში, მერვე-მეცხრე საუკუნეში ითარგმნა იგი არაბულად, ხოლო ქართული ტექსტი კი ამ უკანასკნელისაგან ითარგმნა მეათე საუკუნეშიო.

ტექსტალურ კრიტიკის. შემდეგ ბ-ნ მარრს მოჰყავს „წარტყუენის“ სრული ქართული ტექსტი იერუსალიმის დედნიდან, სადაც დაუცავს ძველი ქართული მართლწერა და ფორმები. მხოლოდ კი, სამწუხაროდ, აქ მეცნიერ ავტორს დაჰვიწყებია ყურადღება მიექცია საეკკლესიო მუზეუმში დაცულ „იერუსალიმის წარტყუენის“ ვარიანტისთვის, რომელიც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეს მიეკუთვნება და სადაც იერუსალიმის დედანთან შედარებით, ადგილ-ადგილობით დიდი განსხვავებაა.

ქართულ ტექსტის შემდეგ წიგნში მოთავსებულია რუსული მისი თარგმანიც, რომელიც თვითონ ბ-ნ მარრის კალამს ეკუთვნის. თარგმანი ესე დედანთან თანხმობით სწორე, სრული და უნაკლულოა.

წიგნში მოქცეულია საკუთარ სახელების მაჩვენებელიც (78—82 გვ.), რომელიც იმისთანა თხზულებისათვის, როგორიც ზემოაღნიშნული ბ-ნ მარრის თხზულებაა, მეტად საჭიროა და მკითხველთათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

წიგნი გამოცემულია პეტერბურბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის მიერ სუფთად და კარგ ქაღალდზე.

**სამ. ცომაია.**

---

М. Г. Джанашвили: „Описаніе рукописей церковнаго музея духовенства грузинской епархіи“.—წიგნი III, ტფილისი, 1908 წ. (VI+331 გვ.) ფ. 1 მ. 50 კ.

ერთი უმთავრესი ღირსებათაგანი ხელთ ნაწერთა აღწერისა არის ისა, რომ აღწერა იყოს ვრცელი, სრული და ყოველ-მხრივი. მარტოოდენ ხელნაწერთა ფორმატის და გვერდთა რაოდენობის აღნუსხვა აღწერილობაში საკმარისი არ არის, საჭიროა აგრეთვე ნაჩვენები იქმნას—თუ როდის და რა მასალაზე დაიწერა ხელთ ნაწერი, და ამასთანავე სიტყვა-სიტყვით მოყვანილ იქმნას ცოტად თუ ბევრად ღირს შესანიშნავი ადგილები. კარგი აღწერილობა ხშირად ხელთნაწერების მაგივრობას სწევს და, თვით ხელთნაწერების გადაუსინჯავადაც, მკვლევარი მარტო იმითაც იოლად მიდის.

ბ-ნ მ. ჯანაშვილის „აღწერა საეკკლესიო მუზეუმის ხელთნაწერთა“ სწორედ ამისთანა ღირსებით არის შემკული. პატივცემულ მუშაკს 239 ხელთნაწერი (№№ 801—1040) აღუწერია, ხოლო ზოგიერთის შესახებ (მაგ. №№ 845, 850, 860, 864, 873, 910, 993, 1031) ვრცელი მეცნიერული გამოკვლევაც მოუთავსებია. ამ მხრით ბ-ნ ჯანაშვილის „აღწერა“ ცრიდად მაღლა სდგას ბ-ნ თ. ჟორდანიას ამავე მუზეუმის ხელთნაწერთა აღწერასთან შედარებით, რომელიც ხშირად მარტო ხელთნაწერების №№-ის ჩვენებით კმაყოფილდება.

ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ბ-ნ მ. ჯანაშვილს ისიც, რომ წიგნის ბოლოში (315—332 გვ.) მოუთავსებია ხელთნაწერთა და საკუთარ სახელების (რომლებიც ხელთნაწერებშია ნახსენები) მაჩვენებელიც.

ეჭვს გარეშეა, ჩვენი წარსულის ყოველი მკვლევარი დიდის პატივით მოიხსენიებს ბ-ნ ჯანაშვილს მის კეთილ სინიდისიერ შრომისათვის.

წიგნი გამოცემულია საეკლესიო მუზეუმის საფასით სუფთად.

**სამ. ცომაია.**

# წერილი კიევიდან

მლოცველნი და მათხოვრები.—ბავშვების გატაცება და დასახიჩრება.—ხელმწიფის მოსვლა.—ახალი წესი უნივერსიტეტში მოსაღებად.—ქალთა სამკურნალო ინსტიტუტი.

კიევი წარმოადგენს მთლად მორწმუნე რუსეთის ცენტრს. აქაური ლავრა-მონასტრები, ეკლესიები და ხატები მთელს რუსეთში განთქმულია. ამის [illegible] დის ათი-ათასობით მლოცველი [illegible] შორეულ [illegible] საკვირველია, ესენი სულ უბრალო ხალხია. აი სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ კიევში, ასე გავრცელებულია მათხოვრობა. იმდენ მათხოვარს, რამდენსაც კიევში არსად არ შეჰხვდება კაცი. მათხოვრობა აქ პროფესსიად არის გადაქცეული, რადგან მლოცველი არ იშურებს ორიოდე გროშს თავის და ნათესავთა სულის მოსახსენებლად. ხშირად შეჰხვდებით მათხოვარს, რომელიც დილით ბრმა იყო და ფულსა თხოულობდა, ხოლო საღამოთი სადმე არაყსა სვამს. ან ერთს დღეს ბრმა არის, მეორეს—მუნჯი, მესამეს—კოჭლი და სხვა.

ხშირად საზიზღარ საქმესაც სჩადიან: იპარავენ პატარა ბავშვებს, ასახიჩრებენ და ჰგზავნიან სამათხოვროდ. ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა აქ ეხლა-ხან: ერთი დედაკაცი მახლობელ სოფლიდან ჩამოსულიყო აქ წმიდა ადგილების თაყვანსაცემლად. სახლში რომ ბრუნდებოდა, ბაზრის მახლობლად გავლის დროს, დაუნახავს ერთი პატარა ბრმა ბავშვი, რომელიც მათხოვრობდა თურმე. მიუცია ერთი კაპეკი და უთქვამს, ილოცე, ბავშვო, ჩემთვისაო. ბავშვი ხმის გაგონებაზე შემკრთალა, წამომდგარა და აღელვებულს ძლივს წარმოუთქვამს: „დედა, შენა ხარ“-ო. საწყალს დედაკაცს იქვე გული წასვლია. თურმე ამ სამი თვის წინად იმან დაჰკარგა პატარა ბავშვი და აი ეხლა ის ამგვარ მდგომარეობაში, დასახიჩრებული სულით-დაცემული იპოვნა. პოლიციამ ბევრი მათხოვარა დაატუსაღა ამის გამო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაიგო.

ამგვარივე ამბავი მოხდა ს. მონასტირიშჩაში: ერთს სრულებით ჯანსაღ მათხოვარას დაჰყავდა მახინჯი ბავშვი, თვალ-დათხრილი და ხელფეხ დამტვრეული, რომელიც მოწყალებას თხოულობდა. პოლიციამ ეჭვით დაატუსაღა ორივე, და მათხოვარამ განაცხადა, ეს ბავშვი ვიყიდე ერთ უცნობ დედაკაცისაგან ასე დასახიჩრებულიო. იმ დედაკაცს თურმე ბევრი ბავშვი ჰყავდა ამგვარად დასახიჩრებული. ამ ბავშვებს სამათხოვროდ ჰყიდდა.

ამ ბოლო დროს კიევი ამგვარ საქმეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. იგი დიდს მზადებაში იყო, რადგან პოლტავის დღესასწაულების გაგრძელება აქ უნდა მომხდარიყო. ხელმწიფემ პოლტავის დღესასწაულებზე დასწრების შემდეგ იქ გამოიარა. ამის გამო იმ ქუჩების მცხოვრებნი, სადაც იმპერატორის ავტომობილმა გაიარა და ახლო-მახლო ქუჩების მცხოვრებნი პოლიციამ ადრევე გადასწერა. სახლის სახურავები დაჰკეტეს და აივნებზე სახლის პატრონების მეტს გამოსვლის უფლება არავის მისცეს.

კიევის უნივერსიტეტის გამგეობამ შეიმუშავა წესი, რომლითაც წელს კიევის უნივერსიტეტში შესვლა შეიძლება. სხვა წლებთან ეხლანდელი წესი ცოტა შეცვლილია. წელს სტუდენტებად მიიღებიან, სხვათა შორის, სასულიერო სემინარიის 4 ან 6 კლასს გათავებულნიც, მხოლოდ მათ უნდა წარადგინონ მოწმობა დამატებით გამოცდის ჩაბარებისა მატემატიკისა, ფიზიკასა და ერთ-ერთს ახალ ენაში. წარსულ წლებში სემინარიელებს სულ არ იღებდნენ. თხოვნები მიიღება 15 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

როგორც ამბობენ, კიევის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის წესდებას მინისტრი დაამტკიცებს სახელმწიფო სათათბიროს დაუკითხავად ამ მოკლე ხანში. ჯერ-ჯერობით ის ქონმედებს, როგორც სამკურნალო განყოფილება კიევის ქალთა უმაღლეს კურსებისა. სამკურნალო განყოფილებაზე მიიღებიან ატესტატთა და დამატებით გამოცდის მოწმობათა კონკურსით დამატებითი გამოცდა საჭიროა რუსულ ენაში, მა-

თემატიკასა, ფიზიკასა, ლათინურსა და ერთ-ერთს ახალ ენაში. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას 75 მანეთი სწავლის ფული. თხოვნები მიიღება 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე. შემდეგ ადრესით: კიევი, ტერასოვის ქუჩა, № 6.

კიევში ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელებულია მუცელა. დღეში 50-70 კაცი ხდება ავად.

**გ. ნამორაძე.**

# ოსმალეთი

**ოსმალელი დელეგატები პარიზში.**

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება პარიზიდან: „აქ მოვიდა ოსმალეთის პარლამენტის დელეგაცია ტალაატ-ბეის მეთაურობით. სულ 16 კაცი მოვიდა. დელეგატებმა აქ მხოლოდ გზად გამოიარეს; ისინი ამ ჟამად ლონდონში მიდიან, ხოლო ოფიციოლურად პარიზში მომავალ ნოემბერში მოვლენ. ისინი მაინც ფრანგებმა დიდის პატივისცემით მიიღეს.

მათ ვოგზალში მიეგებნენ ოსმალეთის ელჩი ნაუმ-ფაშა, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, პარიზში მყოფი გამოჩენილი ოსმალები, ოსმალელ სტუდენტების დეპუტაცია და სხვა.

29 ივნისს დილით საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო დელეგატები. ამბობენ, დელეგატები პალატისა და სენატის თავმჯდომარეებსაც გაუკეთებენ ვიზიტს. რესპუბლიკის პრეზიდენტიც მიიღებს მათ. საპარლამენტოშორისო ჯგუფი ბანკეტს გამართავს მათ პატივსაცემლად.

კრიტოსის საქმის თაობაზე შემდეგი მითხრეს დეპუტატებმა; თუმცა ახალგაზდა ოსმალეთს არა ჰსურს შეტაკება საბერძნეთთან, მაგრამ მაინც ჩვენ არა დროს ხელს არ ავიღებთ კრიტოსის სუვერენიტეტზეო".

**ოსმალეთის ახალი ეროვნული ჰიმნი.**

ოსმალეთის ახალი ეროვნული ჰიმნი, რომელსაც ასე ხშირად მღერიან ბოლოს დროს ოსმალეთში, ამ ჟამად ხელოვნურად შეიმუშავა ორკესტრისთვის ახალგაზდა ოსმალელმა ვადია სობრამ, რომელსაც მუსიკალური განათლება აქვს მიღებული პარიზის კონსერვატორიაში დიდ ოპერას კაპელმეისტერის პოლ ვიდალის ხელმძღვანელობით. ეს ჰიმნი ამ დღეებში დიდის ამბით შესრულებული იქნება სულთან მაჰმადის თანადასწრებით.

# ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო დეპეშები და წერილები:

**პარიზი.** გიგზავნით ღრმა მწუხარებას ჩვენის ძვირფას ამხანაგის ვლადიმერის დაკარგვის გამო, რომელიც თავგამოდებით და ერთგულად იცავდა ჩვენს საქმეს. სამძიმარი მის ოჯახს.

გიორგი დეკანოზიშვილი.

**პარიზი.** ვგლოვობთ ძვირფას ამხანაგის ახალგაზდა მოღვაწის დაკარგვას. სამძიმარს ვუცხადებთ მისს ოჯახს.

ანდრონიკაშვილი, ჯაკახიშვილი, გვილეხიასი, გობეჩია, ციციშვილი, ჭკიშვილი.

**დარაჩიჩაგი.** დიდად შეწუხებული ჩვენის ქვეყნის ნიჭიერ მუშაკის ლორთქიფანიძის უდროოდ დაკარგვისა გამო, გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ მისს დაობლებულ ოჯახსა და ამხანაგებს.

დუტუ მეგრელი.

**ბელაგორი.** ყველა ადგილობრივი გულწრფელი თანამგრძნობელი გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ლორთქიფანიძის ასე უდროოდ სიკვდილით. ცრემლებს ვაფრქვევთ ამისთანა მოღვაწის დაკარგვისა გამო და ვუცხადებთ ულრმეს მწუხარებას როგორც განსვენებულის მეუღლეს, ისე იმის ამხანაგებსა და მეგობრებს.

მისი გულწრფელი თანამგრძნობელნი.

# ჭეშმარიტ რუსთა კავშირი და ქართველი სტუდენტობა

(სტ. გიორგი ბელქანიას წერილის გამო)

„დროების" მე-140 ნომერში დაბეჭდილია სტ. გიორგი ბელქანიას წერილი, რომელიც შეეხება ანდრია დგებუაძის საქმეს. ბ-ნი ბელქანია წერილის დასაწყისშივე ჰპირდება მკითხველ საზოგადოებას საქმის მარტივად და ობიექტიურად გადაცემას. მაგრამ ნამდვილად კი წერილი თავიდან ბოლომდის სუბიექტივურია და ამიტომ საქმეც ბურუსით არის მოცული. ბ-ნი ბელქანია კისრულობს ანდრია დგებუაძის ვექილობას და ადესელ ქართველ სტუდენტობას, ვითომ და ანდრია დგებუაძისადმი უდიერად მოპყრობისათვის, დამნაშავის სკამზე სვამს. მე სრულიადაც არა მსურს ბ-ნ ბელქანიასთან კამათი. ეს მით უფრო არ არის სასურველი, რომ ბ-ნმა ბელქანიამ საკმაოდ დაახასიათა თავისი თავი. მაგრამ, ვინაიდან ბ-ნი ბელქანია არღვევს უბრალო სამართლიანობას, ამახინჯებს ფაქტებს და შეიძლება ვინმე შეცდომაში შეიყვანოს, ამიტომ იძულებული ვარ მეცა ვთქვა ორიოდე სიტყვა ანდრია დგებუაძის შესახებ. მხოლოდ აქვე უნდა აღვნიშნო ბ-ნ ბელქანიას და სამშვიდებლად, რომ ჩემი წერლის მიზანია საქმის მართლა ობიექტიურად-მიუდგომლად გადაცემა და არა მისებრ ცალმხრივობა და საქმისადმი ბავშვური გულუბრყვილობა. დავარწმუნებთ ბ-ნ ბელქანიას, რომ დგებუაძეზე „გალაშქრება", როგორც მას ჰგონია, აქ არაფერ შუაშია. თუ ვინმემ რამე სთქვა პრესაში დგებუაძის შესახებ—ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დგებუაძის საქმეს პრინციპიალური ხასიათი ჰქონდა და აქვს. მეც მხოლოდ ამ მხრით მაინტერესებს ეს საქმე.

წარსულ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში, ე. ი. 1908 წელს, ოდესის ქართველ სტუდენტობაში ხმა გავრცელდა, რომ სტუდენტს (?) ანდრია დგებუაძეს ჭეშმარიტ რუსის სტუდენტებთან მჭიდრო კავშირი აქვსო. ამ სამარცხვინო ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს სტუდენტობაში. რასაკვირველია, მარტო ხმები საკმაო საბუთი არ იყო, რომ ანდრია დგებუაძე ჭეშმარიტ რუსად გამოეცხადებინა ქართველ „ზემლიაჩესტვოს". მაგრამ როდესაც სტუდენტებმა იშოვნეს უტყუარი ფაქტები იმისი, რომ ანდრია დგებუაძეს არა თუ მჭიდრო კავშირი ჰქონია ჭეშმარიტ რუსის სტუდენტებთან, არამედ იგი უკვე ჩაწერილიყო ჭეშმარიტ რუსთა კავშირში, და როდესაც დამტკიცდა, რომ დგებუაძემ აგიტაციაც კი დაიწყო ახლად ჩამოსულ ქართველ სტუდენტთა შორის, რომ ესენიც ჩაწერილიყვნენ კავშირში,—ვიმეორებ, როდესაც ყველაფერი ნათლად გამოირკვა, ქართული „ზემლიაჩესტვო" ვალდებული იყო ასეთი კაცი გაედევნა თავის წრიდან. ასე უნდა მოქცეულიყო მით უფრო, რომ დგებუაძე იქაც იყო და აქაც იყო. ასედაც მოხდა. ამა წლის მარტის თვეში. „ზემლიაჩესტვოს" სახელით გამოვიდა ფურცელი, სადაც ჩამოთვლილი იყო დგებუაძის საქმენისაგმირონი და გამოეცხადა მას ბოიკოტი. იმავე ფურცელში იყო გაფრთხილება—გვარების დაუსახელებლად—იმ ქართველ ყმაწვილების შესახებ, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დგებუაძესთან. ამ ფურცელს დაემორჩილა ოდესის ქართველი სტუდენტობა, გარდა ხუთიოდე კაცისა, რომელთა რიცხვში ბ-ნი ბელქანიაც ბრძანდებოდა. იმ დღესვე, რა დღესაც ფურცელი გამოვიდა, მოვიდა ჩემთან დგებუაძე და დიდად აღელვებულის კილოთი მითხრა: „მე ამხანაგებმა ცოცხლად დამმარხეს, ჩემი ცოლ-შვილი ჩემი კბილებით დამიგლეჯია, თუ რომელიმე პუნქტში მტყუანი ვიყო. დანიშნონ ამხანაგებმა სასამართლო და თავი გამამართლებინონო". მეც დახმარება აღვუთქვი, მაგრამ ვისაც კი მივმართე, ყველამ ერთნაირი პასუხი მომცა: „თუ დგებუაძე თავს დამნაშავედ არა სცნობს, გამოაცხადოს ან ოდესის, ან კავკასიის ერთ-ერთ გაზეთში, რომ მას ჭეშმარიტ რუსთა კავშირთან არაფერი საერთო არა აქვს; შემდეგ ამხანაგები ვალდებულნი იქნებიან სასამართლოში გაჰყვნენო". მეც ასე გადავეცი დგებუაძეს, მაგრამ დგებუაძემ ამ წინადადებაზე გადაჭრილი უარი განაცხადა და, სხვათა შორის, სთქვა, „ქართველ ზემლიაჩესტვოს", როგორც არა ლეგალურ დაწესებულებას, ვერ გამოვიწვევ სამართალში, ვინაიდან ეს პროვოკაცია იქნება ჩემის მხრითაო, მე სხვა საშვალებით შემიძლიან ამ ჩირქის ჩამორეცხაო".

ამით გათავდა ჩემი მისია დგებუაძესა და ქართ. სტუდენტებს და არა გამგეობის შორის, როგორცა ბრძანებს ბ-ნი ბელქანია, როდესაც ამბობს, ვითომ დგებუაძეს ჩემი (გაბუნიას) საშუალებით ჰქონდა მოლაპარაკება გამგეობასთან. მე ველაპარაკებოდი დგებუაძეს ქართველ სტუდენტების სახელით. ჩირქის ჩამორეცხა კი დგებუაძემ მოინდომა პროფესორთა დისციპლინალურ სასამართლოთი. მე არ შეუდგები ამ სასამართლოს დახასიათებას, ვინაიდან წერილი ისედაც გამიგრძელდა. ამას კი ვიტყვი, რომ ამ სასამართლოს არავისი ჩირქის ჩამორეცხა არ შეუძლიან. ამ სასამართლოში მისცა დგებუაძემ ათი კაცი. გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული სხდომების ანგარიში. მე შევეხები მხოლოდ ორ ფაქტს, რომელიც შეადგენს საქმის ღერძს და სასამართლოშიაც ნათლად გამოირკვა. როგორც კი გაათავეს ათი კაცის ჩვენების ჩამორთმევა, თავმჯდომარემ შემდეგი პირველი კითხვა მისცა დგებუაძეს:

— ბ-ნო დგებუაძევ! აქ ცოტა გაუგებრობაა. გვითხარით: თქვენ ნამდვილი სტუდენტი ხართ თუ თავისუფალი მსმენელი? როგორ მოხდა, რომ ერთ ადგილას სტუდენტად სწერიხართ, მეორე ადგილას კი თავისუფალ მსმენელად.

დგებუაძე ლობე-ყორეს მოედო... პირველ სხდომაზე ეს საკითხი გადაამუჩეს; მეორე სხდომაზე, სამი დღის შემდეგ, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ დგებუაძე თავისუფალი მსმენელიაო. როგორ მოხდა ეს, ალაჰმა უწყის!.. მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო".

**გ გაბუნია.**

(დასასრული იქნება)

# წერილი რედ. შიმართ

(პასუხად თავ. ივანე ნიჟარაძეს).

გაზეთ „დროების" მე-133 ნომერში თქვენი წერილია მოთავსებული, რომლითაც სამედიატორო სამართალში მიწვევთ იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ვითომ ჩემის წერილით მოგაყენეთ გაზ. „ივერიის" მე-23 №-ში.

მე, მართალი მოგახსენოთ, თქვენგან არ მოველოდი, თუ ამას შეურაცხყოფად მიიღებდით! მე საზოგადოთ ქუთაისის სათავადაზნაურო... საადგილ-მამულო ბანკის გამგეობაზე ვწერდი, მის მოქმედებია ცუდ მხარეებს ვეხებოდი და არა მარტო თქვენ. და რადგან გამგეობის ერთი მწევრთაგანი თქვენცა ბრძანდებით, ამისათვის თქვენს წილს აბა როგორ დაგაკლებდით! გარწმუნებთ-კი, რომ განსაკუთრებით სურვილი არა მქონია მხოლოდ თქვენზე მელაპარა, გარნა, რომ გამომეტოვებინეთ, შეიძლება ესეც შეურაცხყოფად მიგეღოთ და არც გამგეობის მოქმედების სურათი იქნებოდა სრული. რაც იყო, იყო, და ეხლა ვასრულებ თქვენსა და ჩემს სურვილს, გეახლებით სამედიატორო სამართალში და ვისურვებ, რომ ორივე მართალი არ დავრჩენილიყოთ ბოლოს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. მე ჩემის მხრით მედიატორეებად ვასახელებ ბ-ნთ ვასო თუმანიშვილს და ტიტე ართმელაძეს. ორივე მხრის მედიატორეებს უფლება აქვთ, თავმჯდომარედ აირჩიონ ერთი ვინმე და შეუძლიანთ უმისოდაც დასდონ განაჩენი, ეს მათი ნება იყოს. თქვენი წინასწარი განჩინება „მტყუანმა მხარემ ბოდიში უნდა მოიხადოსო", უადგილოთ მიმაჩნია, განაჩენის უფლება, მხოლოდ მედიატორეთა აქვთ და შეიძლება მეტიცა სთქვან.


**ავლაბრის** წმ. მარინის ეკლესიის მრევლს ვთხოვთ მობრძანდეს კვირას, 5 ამა მკათათვეს, დილის 10 საათზე, **მთავარ-დიაკვნის ასარჩევად.**

(1—325—1) მნათე **პ. გ. მამრაძე.**

# 500 მან. თვეში

ნამდვილად მიიღებს ის, ვინც მოისურვებს და მონაწილეობას მიიღებს მომგებიან საქმეში. თანხა საჭიროა 1500 მან-დან 3000 მან-მდე. საუკეთესო გარანტია თანხისა თავმდებია იმისა, რომ არავითარი ხიფათი არ მოელის ფულს. ეს ცნობა სულაც არ არის გაზვიადებული. ვისაც ეჭვი აქვს, შეუძლიან შეამოწმოს. საქმის ვითარების გაგება შეიძლება მხოლოდ 9—10 ს. და 6—7 ს. ლიმონადის ქარხანაში, ავჭალის ქ., ს. ყორღანოვისა, № 59. გთხოვთ, ჩვენი საქმე ქარხნის საქმედ არ მიიღოთ. (1—326—1)

◀ სიკვდილი ▶

# ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—1)

# ბაღი-რესტორანი

◀ ამხანაგობის ▶

# „იუჟანე"-ში

ხახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.

телефонъ N 233. (50—გაკ.—23)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—82)

# კანტორა და საწყობი „სპერმატინისა" და „ალმეზისა"

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.

(30—ნ.—10) **ი. ახობაძე.**

ДАМЫ И ДѢВИЦЫ!

Если желаете всегда блистать КРАСОТОЮ, МОЛОДОСТЬЮ, ЗДОРОВЬЕМЪ,

Англійск. патентъ. BY ROYAL LETTERS PATENT

употребляйте непремѣнно

Кремъ „КАЗИМИ" Метаморфоза.

Кремъ „КАЗИМИ" БЕЗСПОРНО-РАДИКАЛЬНО удаляетъ ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА, МОРЩИНЫ, и дѣлаетъ кожу лица СВѢЖЕЙ И ЮНОЙ.

ПРОДАНО УЖЕ ОКОЛО ДВУХЪ МИЛЛІОНОВЪ БАНОКЪ.

Въ ТЫСЯЧАХЪ писемъ представительницы прекраснаго пола БЛАГОДАРЯТЪ Г. „КАЗИМИ" за его блестящее изобрѣтеніе, СОХРАНИВШЕЕ И МНОГИМЪ ВЕРНУВШЕЕ ихъ обаяніе.

Для огражденія себя отъ покупки навязываемыхъ подражаній и фальсификатовъ обращайте особое вниманіе на слѣдующіе отличительные признаки Крема „КАЗИМИ" Метаморфоза: 1) на внутренней сторонѣ банки бѣлую, рельефную подпись Cazimi, 2) АНГЛІЙСК. ПАТЕНТЪ, 3) рисунокъ головки мальчика съ надписью „ВСЕРОССІЙСКАЯ ВЫСТАВКА 1896 г." и 4) приложенный къ банкѣ рисунокъ „ИСТОЧНИКЪ КРАСОТЫ", утв. Департ. Торг. и Мануфакт. за № 4683.

(Метцль и Ко. N 8009). (1—6.—1)

# გაფრთხილება

# დ. ზ. სარაჯიშვილისა

ЗАВОДСКАЯ МАРКА

კანტორა ტფილისში.

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი",** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე".** (20—234—20)

სრული რადიკალური მორჩენა სულ მცირე ხანში

# „ტრიპერისა" (სუსუნათისა)

პირველად შეხვედრილისა, ქრონიკულისა და ყველა მისი შედეგისა როგორც მამაკაცისა, ისე დედაკაცისა

◀ ახალ განსაკუთრებულ წამლით ▶

# „სალიუბრინ ბერჟე"-თი.

**„სალიუბრინ-ბერჟე"**—მეცნიერული პრეპარატია, რომელიც საშინლად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და რომელმაც საუკეთესო ნაყოფი მოიტანა ტრიპერის (სუსუნატის) წამლობის დროს. **„სალიუბრინ ბერჟე"** მომზადებულია **პროფესორ ედ. გიუმონდის** რეცეპტით. ექიმების მოწმობით, **„სალიუბრინ ბერჟე"** ყველა დღემდე არსებულ წამალსა სჯობია. ყოველ დღე აუარებელ მადლობის წერილი მოდის რუსეთის ყველა კუთხიდან და ეს ნიმუშია იმისა, რომ სალიუბრინი საუცხოვო წამალია.

თუ გინდათ ჯანმრთელი იყო, იხმარეთ **„სალიუბრინ ბერჟე".**

**ფასი 2 მან. 50 კაპ.** გაგზავნა საფოსტო ტარიფით. ფას-დადებით 25 კაპ. უფრო ძვირია.

ახლად შეხვედრილ ტრიპერის მოსარჩენა საკმაოა 4 ფლაკონი, ქრონიკულისთვის—6 ფლაკონი. იგზავნება ფას-დადებით სრული თანხის მესამედის მიღების შემდეგ. სამეცნიერო-პოპულიარული წიგნაკი „სალიუბრინი" იგზავნება 5 შვიდ-კაპეიკიან მარკის მიღების შემდეგ. ვინც 4 დოზს გაიწერს, წიგნაკი უფასოდ გაეგზავნება.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის **ი. ახობაძე**—ნეკრასოვის ქ., № 14, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

**ჩრდილოეთის ამხანაგობა ბერჟე**

СѢВЕРНОЕ ТОВАРИЩЕСТВО БИРЖЕ

Главное единственное Агенство для всей Россіи.
С.-Петербургъ, отдѣленіе фармацевтическихъ препаратовъ.
Отдѣленіе Тифлисъ. Ахобадзе, Некрасовская ул. N 14, близъ памятникъ Кн. Варанцовъ. (0—ხალ—2)

# პროვოდნიკის

1897 წ. ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА 1908 წ.

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА Т. П. Т. 1888

# ამხანაგობა

# რიგაში

სატაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

**ლინოლეუმი,** აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი,

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

# ახალი რამ:

**„საუკუნო" ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლინკრუსტა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოდ კომნატისთვის.

# ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**